ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37210461**
თარიღი:**15/02/2021**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა შეფასების მეთოდის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე- 3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და ,,პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განისაზღვროს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების მეთოდი, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრებისწესი“ დანართი N1 შესაბამისად.

2. დამტკიცდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა კომპეტენციის გაცნობის, შუალედური შეფასებისა და საბოლოო შეფასების ოქმების ფორმები'' დანართი N2, N3 და N4-ის შესაბამისად.

3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს (ნ.თავდუმაძეს) უზრუნველყოს წინამდებარ ბრძანების გაცნობა აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისთვის.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი